ტენდერის აღწერილობა:

შესყიდვის წინაპირობა:

სს ,,არდი დაზღვევა'' აცხადებს ტენდერს დესკტოპ კომპიუტერებისა და ლეპტოპების შესყიდვასთან დაკავშირებით. მისამართი: ქ.თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N28

- შესყიდვის ობიექტი
  - დესკტოპ კომპიუტერი (მონიტორის ჩათვლით) - 20 ერთეული
  - ლეპტოპი - 10 ერთეული
- ტექნიკური მოთხოვნები

1. დესკტოპ კომპიუტერი – 20 ერთეული

- **დედაპლატა**: TPM 2.0-ის მხარდაჭერით,სასურველია ASUS-ის ბრენდის;
- **პროცესორი (CUP):** Intel Core i5, არანაკლებ მე-14 თაობის;
- **ოპერატიული მეხსიერება:** არანაკლებ 16 GB DDR4;
- **SSD**: არანაკლებ 512 GB Samsung ან Kingston;
- **მონიტორი:** 24", FHD (1920x1080), IPS, არანაკლებ 100Hz, 5ms, HDMI და VGA პორტებით.

2. ლეპტოპი – 10 ერთეული

- **პროცესორი:** Intel Core i5;
- **ოპერატიული მეხსიერება:** არანაკლებ 16 GB DDR4 ან DDR5;
- **SSD:** არანაკლებ 512 GB M.2;
- **მონიტორის ზომა:** 16 Inch.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია

- შემოთავაზებული პროდუქციის მწარმოებელი და ზუსტი მოდელი;
- თითოეული ერთეულის ფასი;
- ჯამური ღირებულება;
- ფასი დღგ-ის ჩათვლით;
- პროდუქციის მიწოდების ვადა;
- საგარანტიო მომსახურების პირობები.

4. მიწოდების პირობები

- პროდუქცია უნდა იყოს ახალი;
- არ უნდა იყოს მეორადი ან აღდგენილი;
- მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე;
- პროდუქციას უნდა ახლდეს საგარანტიო დოკუმენტაცია.

ტენდერში მონაწილე კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია კომპანიის შესახებ (დანართი N1)
- კომერციული შეთავაზება – დესკტოპ კომპიუტერებისა და ლეპტოპების ერთეულის და ჯამური ღირებულების მითითებით, დღგ-ის ჩათვლით.
- ტექნიკური სპეციფიკაცია – შემოთავაზებული პროდუქციის მწარმოებლის, ზუსტი მოდელისა და ტექნიკური მახასიათებლების დეტალური აღწერით.
- ტექნიკური შესაბამისობის დადასტურება – დოკუმენტი ან ცხრილი, სადაც მითითებული იქნება, რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული პროდუქცია მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებს.
- პროდუქციის ტექნიკური დოკუმენტაცია – მწარმოებლის ოფიციალური ვებგვერდის ბმული ან ტექნიკური პასპორტი.
- საგარანტიო პირობები – გარანტიის ვადა, საგარანტიო მომსახურების პირობები და ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში რეაგირების ვადები.
- მიწოდების პირობები – პროდუქციის მიწოდების სავარაუდო ვადა და მიწოდების მისამართზე ტრანსპორტირების პირობები.
- კომპანიის რეკვიზიტები – კომპანიის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო პირის მონაცემები.

შემოთავაზების მოქმედების ვადა – ფასის შეთავაზება ძალაში უნდა იყოს წარმოდგენიდან არანაკლებ 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- ტელეფონი: 577 555 229
- ელ. ფოსტა: procurement@ardi.ge